

ქულა "სპარტაკოთან"

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონი. 25 სექტემბერი.

"სპარტაკი" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი) 0:0.

"სპარტაკი": პროხოროვი, ვლ. ბუკიევსკი, ბონდარევი, ვიქ. ბუკიევსკი, აბრამოვი, ლოვჩევი, სამოხინი, რედინი, ლებედევი, პაპაევი, ბულგაკოვი.

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, ჩელებაძე (ქორიძე), დარასელია (ძებისაშვილი), ყიფიანი, კოპალეიშვილი.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

დუბლიორები – 4:3.

უმინდობამ და სიცივემ გარკვეული დაღი დაამჩნია მაყურებელთა რაოდენობას ტრიბუნებზე, თუმცა ძველ მეტოქეთა შორის დაძაბული და საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ამ მატჩისთვის "სპარტაკი" და "დინამო" ქულათა თანაბარი რაოდენობით უახლოესი მეტობლები იყვნენ გათამაშების ცხრილში, თბილისელებს კი თადარიგში აქვთ დონეცკის "შახტიორთან" ჩასატარებელი შეხვედრა. ეს გარემოება სპარტაკელთა წინაშე სახავდა გამარჯვების მოპოვების აუცილებელ ამოცანას.

ამიტომ მასპინძლებმა თავიდანვე სკადეს ინიციატივის ხელში აღება, რისთვისაც მაღალი ტემპი განავითარეს და გაძლიერებული ძალებით სკადეს შეტევის წარმოება, მაგრამ "დინამომ" სწორი ტაქტიკური გეგმა აირჩია: ტემპი მას არ აძლევდა ხელს, საჭირო იყო ზუსტი თამაში შუა მინდორში, სწრაფი და მოულოდნელი კონტრიერიშები, რომლებსაც შორი გადაცემებით ახორციელებდნენ ყიფიანი და ჩივაძე. ამ მომენტებში განსაკუთრებით იგრძნობოდა ტრავმირებული გუცაევის არყოფნა.

თუ მატჩს განვიხილავთ ტაქტიკური ბრძოლის თვალსაზრისით, იგი უმთავრესად წარიმართა ისე, როგორც თბილისელებს სურდათ. ორივე გუნდის დაცვა საკმაოდ იოლად გაუმკლავდა მოპირდაპირე თავდამსხმელებს, არც სპარტაკელთა "ახალ" მეკარეს პროხოროვს, არც თბილისელ გოგიას არა ჰქონიათ სერიოზული უსიამოვნებანი.

მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

"ლელო", 28 სექტემბერი, 1976 წ.